ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ვაკანტური თანამდებობის პრეტენდენტ იოსებ არჩვაძის სამოქმედო გეგმა-კონცეფცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის წამყვანი სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა. განუზომელია მისი როლი ბოლო თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ინტელექტუალური სახის ფორმირებაში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მოღვაწეობენ სახელმწიფო და კერძო სექტორებში, ზრდიან ეროვნულ სიმდიდრეს, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს და ცნობადობას, აქტიური წვლილი შეაქვთ მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებასა და გამრავალფეროვნებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს მრავალათასიანი გამოცდილი, მაღალპროფესიონალი აკადემიური პერსონალი, რომლის ძალისხმევით ორ ათეულ ათასზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება სპეციალობას მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით. ბუნებრივია, სწავლების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე უზრუნველყოფა, სათანადო სახელმძღვანელოების და მასალების დროული მომზადება, მიწოდება, სწავლების ორგანიზება მოითხოვს ეფექტიან, ოპერატიულ მართვას, რესურსულ უზრუნველყოფას, რეაგირებას წარმოქმნილ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სწორ მენეჯმენტს, SWOT-ანალიზის[1] მეთოდის გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს საკმაოდ გამოცდილი და პროფესიული გუნდი ადმინისტრაციული საქმიანობის ყველა მიმართულებით, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ყურადღებას გავამახვილებდი იმ მიმართულებებსა და ასპექტებზე, რომლებიც უნივერსიტეტის განკარგულებაში უკვე არსებულ ან მოსაზიდ რესურსებთან ერთად სრულად უნდა ჩადგნენ თსუ-ის სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმის განხორციელების სამსახურში.

ღონისძიებები სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით

უმაღლესი სკოლის ძირითადი დანიშნულება ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური, პროფესიული კადრების მომზადებაა. შესაბამისად, ერთერთ მთავარ ამოცანად გვესახება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის საქმიანობის სტაბილურობის, პრესტიჟულობისა და მნიშვნელობის განცდის ამაღლება ორი - **აკადემიური** და **ადმინისტრაციული** - „სტრატეგიული ტრიადის“ (შესაბამისად, **სწავლება - კვლევა - ინოვაცია** და ***შრომის ანაზღაურება - სასწავლო სივრცე - სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა)*** *ხარისხობრივი* გაძლიერების და გაუმჯობესების გზით.

დაჩქარდება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით, ხოლო სტუდენტთა მომზადება-სწავლების პროცესი უფრო მეტად მიიღებს ისეთ ფორმატს, რომლის შედეგად უნივერსიტეტის

[1] **SWOT**-ი ინგლისური აბრევიატურაა: **S** - strengths (ორაგნიზაციის ძლიერი მხარე); **W** - weakness (ორგანიზაციის სუსტი მხარე); **O** - opportunities (ორგანიზაციის შესაძლებლობები); **T** - threates (მოსალოდნელი საფრთხე).

კურსდამთავრებული მაქსიმალურად მომზადებული იქნებიან შესაბამისი პროფილით და სპეციალობით პრაქტიკული საქმიანობისათვის.

ყოველი აკადემიური დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდება სწავლის ფორმატის გამრავალფეროვნება - „ტრადიციულ“ საუდიტორიო და ლაბორატორიულ სწავლებასთან ერთად ფართოდ დამკვიდრდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლების ფორმების დივერსიფიცირება, მათ შორის დისტანციური სწავლებისა და ონ-ლაინ რეჟიმში საზღვარგარეთელი ლექტორების ლექციების ჩატარების სახით.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო პერიოდში სამეცნიერო გარღვევები და აღმოჩენები სულ უფრო მეტად მიიღწევა ცალკეული სამეცნიერო დისციპლინების მიჯნებზე, დიდი ყურადღება დაეთმობა საუნივერსიტეტო ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, ტექნოპარკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კონცეფციის შემუშავებასა და რეკომენდაციების მომზადებას.

ყოველი ფაკულტეტი აღიჭურვება თანამდროვე სტანდარტების შესატყვისი ლაბორატორიებით, უკვე მოქმედ ლაბორატორიებს კი ძირეულად განუახლდებათ შესაბამისი ინვენტარი და მოწყობილობანი.

გაძლიერდება კოორდინაცია უნივერსიტეტის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებს შორის მართვის ეფექტიანობის ამაღლებისა და საქმიანობაში დუბლირების გამორიცხვის მიზნით.

გაძლიერდება კოორდინაცია სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტსა და შიდა აუდიტის სამსხურს შორს აკადემიური პერსონალის **ინდივიდუალურ დატვირთვისა და სასწავლო ცხრილების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.**

მეტი ყურადღება დაეთმობა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო ფონდების (GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო კონკურსების პირობების გაცნობასა და ინფორმირებულობას, ხელშეწყობას ასეთი გრანტების მოსაპოვებლად. აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, თვეში სპეციალურად გამოიყოფა ერთი, ე.წ. **„ღია კარის დღე“** (მაგალითად, ყოველი თვის მეოთხე ოთხშაბათი ან ნებისმიერი სხვა დღე), როდესაც დაინტერესებული პირებისათვის გაიმართება დამატებითი კონსულტაციები გრანტების მოსაპოვებლად საპროექტო წინადადებების მომზადება-წარდგენისათვის; პროექტების მომზადება-განხორციელებისთვის შესაბამისი პირობების გაცნობა და რეკომენდაციების მიცემა.

ამჟამად საზღვარგარეთული გრანტების რაოდენობის წილი გრანტების მთლიან მოცულობაში უნივერსიტეტში 11,3 პროცენტს არ აღემატება. გასააქტიურებელია მუშაობა იმ მიმართულებით, რომ **საზღვარგარეთული გრანტების მოცულობა უახლოეს პერიოდში, სულ ცოტა, გასამმაგდეს, ხოლო წილი გრანტების მთლიან მოცულობაში - გაორმაგდეს.**

ამავე კონტექსტში განვიხილავთ საქმიანობის გააქტიურებას თსუ-ს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებისა და გამრავალფეროვნების, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ ცენტრებთან მუშაობის გააქტიურებისა და სხვ. კუთხით.

დაბალია და არსებითად **გასაზრდელია გაცვლითი პროგრამით ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა** - დღეის მდგომარეობით აღნიშნული სტატუსით მყოფი ასამდე სტუდენტი, პროფესორი თუ მკვლევარი აშკარად ცოტაა სახელოვანი ტრადიციების მქონე და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.

ამავე დროს, უნდა გაიზარდოს უცხოეთში გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობაც, რაც ფინანსურ უზრუნველყოფასთან ერთად, გულისხმობს ადგილზე სწავლებისა და შერჩევის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება **ოპერატიულობის გაზრდა, რეაგირების დაჩქარება შემოსულ კორესპონდენციებზე, დაყენებულ საკითხებზე, შეკითხვებზე და შენიშვნებზე.** კომპეტენციის ყველა სფეროს მიხედვით მოხდება პრობლემებისა და რისკების მუდმივი მონიტორინგი და იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, გატარება. აღნიშნულ კონტექსტში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის *შიგნიდან* - აკადემიური პერსონალიდან, სტუდენტებიდან, აგრეთვე *გარედან* - მედია-საშუალებიდან და ცალკეული **ფიზიკური თუ იურიდიული პირებიდან წამოსული კრიტიკული შენიშვნებისა და საჩივრების და მათზე რეაგირების რეესტრის** წარმოება, რომლებზეც ინფორმაცია ყოველთვიურად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ საბჭოს და/ან სენატს, იმისდა მიხედვით, ვისი კომპეტენცია იქნება ამ საკითხის განხილვა/გადაწყვეტა.

ადმინისტრაციული პერსონალისადმი მოთხოვნა დაეფუძნება მხოლოდ უნივერსიტეტის შიდა განაწესს, შესაბამისი სამსახურების დებულებებს, შეფასების კრიტერიუმი კი იქნება მათ მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნის საფუძველზე **ვალდებულებების დროული და კვალიფიციური შესრულება.**

გაგრძელდება მუშაობა საქართველოს გამომცემლობებთან მათ მიერ გამოცემული სამეცნიერო, სასწავლო და საცნობარო წიგნების მისაღებად უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის, მათ შორის სტუდენტთა სააბონენტო მომსახურებისათვის.

გაუმჯობესდება საერთაშორისო მასშტაბით ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა და გაფართოვდება შესაბამისი არეალი.

საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა და სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერა

მაქსიმალურად შემცირდება ინფორმაციის გავრცელების დრო - როგორც უნივერსიტეტის შიგნით დოკუმენტთბრუნვის, ისე გარედან შემოსულ კორესპონდენციებზე.

უნივერსიტეტის ფუნქციების შესრულებაში სულ უფრო მზარდი როლი ენიჭება სამართლებრივად სწორი, კანონის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს და ურთიერთობებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. შესაბამისად, გაგრძელდება მუშაობა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ოპერატიული სამართლებრივი უზრუნველყოფა-ექსპერტიზასა და დასკვნების განხორციელებას, უნივერსიტეტის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასა და უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოებში.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამართლებრივი განათლების ამაღლების მიზნით რეგულარულად გაიმართება სემინარები ცალკეულ პრობლემათა სამართლებრივი გადაწყვეტისა და რეგულირების საკითხებზე.

მეტი ყურადღება დაეთმობა უნივერსიტეტის სტრუქტურაში მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გადმოსული ინსტიტუტების წინაშე არსებული სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას.

გაიზრდება **უძრავი ქონების გამოყენების ეფექტიანობა,** მათი ფუნქციური დატვირთვის უზრუნველყოფა. განხორციელდება მუშაობა უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციული საჭიროებისათვის უძრავი ქონების შესაძენად და გადმოსაცემად, აგრეთვე მშენებლობისათვის დედაქალაქსა და საქართველოს სხვა რეგიონებში. ასევე, ჩატარდება უძრავი ქონების ობიექტების ინვენტარიზაცია.

გატარდება ღონისძიებები, მათ შორის პრევენციული, რათა არ შეიზღუდოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც სამართლებრივად კუთვნილი, ისე ზოგადად ვიზუალურ-ლანდშაფტური სივრცე, გარემო ამ უკანასკნელში სასწავლო-აკადემიურ პროცესთან კავშირის არმქონე სხვა ფუნქციური დატვირთვის ობიექტების მშენებლობით, განთავსებით ან შესაბამისი ნებართვების გაცემით.

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად მოწვეული იქნება ერთერთი საერთაშორისო აუდიტორული კომპანია "დიდი ოთხეულიდან", რათა ამით მოგვეცეს *გზამკვლევი* მომავალ საქმიანობაზე, იმაზე, თუ როგორი რეორგანიზაცია ჩატარდეს ადმინისტრაციაში.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება

სასწავლო პროცესის პირობებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესების სფეროში უმნიშვნელოვანესი როლი უკავია უნივერსიტეტში კომპიუტერული ქსელისა და სერვერული სისტემების, ინფრასტრუქტურის მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის, აკადემიური პერსონალის სასწავლო და თვალსაჩინო ინფორმაციის დემონსტრირებისა და შეუფერხებელი და ონ-ლაინ რეჟიმში გადაცემის უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერის, ზოგადად თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას და გამართულ ფუნქციონირებას. საქმიანობის ერთერთ ცენტრალური მიმართულება გახდება აკადემიური პერსონალის კომპიუტერული და პროგრამული პროდუქტებით აღჭურვა, სტუდენტების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე და ამ უკანასკნელთა ფართოდ გამოყენება დისტანციური სწავლების შესაძლებლობების გაფართოების გზით, წამყვანი უცხოელი სპეციალისტების ვიდეო-ლექციებისა და ვიდეოკონფერენციების ორგანიზება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი სრულყოფა შესაბამისი ტექნიკის საოპერაციო და მახსოვრობითი რესურსების ზრდა ობიექტურად აუცილებელია უნივერსიტეტის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტთა ბრუნვის სწრაფი ზრდის გამოც.

სტუდენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები

უფრო სისტემატური და ინტენსიური გახდება კონსულტაციები სტუდენტთა თვითმმართველობასთან სასწავლო პროცესის ორგანიზაციასთან, დატვირთვასა და მატერიალურ-ტექნიკურ და საერთო საცხოვრებლებში საცხოვრებელ პირობებთან, აგრეთვე

დასვენებასთან, სპორტთან და გართობასთან დაკავშირებული პრობლემების უკეთ გაცნობისა და ოპერატიული რეაგირების მიზნით.

მომზადდება წინადადებები შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის სტუდენტთა ყველაზე წარჩინებული, არანაკლებ 10 პროცენტის სტიპენდიით უზრუნველყოფის თაობაზე.

მაქსიმალურად გაიზრდება სტუდენტთა სპეციალობების მიხედვით სტაჟირება მათი პროფილის შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

ჩატარდება მუშაობა, რათა უნივერსიტეტის კვების ობიექტებში კერძები უნივერსიტეტის გარე პერიმეტრის სიახლოვეს, ახლომდებარე სწრაფი კვების ობიექტებთან შედარებით უფრო იაფი, ხარისხიანი და ყუათიანი იყოს.

შესაძლებელია რესურსების გამოძებნა იმისათვის, რომ ყველაზე მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელ სტუდენტებზე (სტუდენტებს იმ ოჯახებიდან, რომლებსაც ოთხი და მეტი შვილი ყავთ) გაცემულ იქნას კვების ტალონები (ვაუჩერები) უნივერსიტეტში მოქმედ კვების ობიექტებში გამოსაყენებლად (თვეში დაახლოებით 50-60 ლარის ფარგლებში).

უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან ერთად შემუშავდება საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ უნივერსიტეტის *სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარებისათვის სპეციალური ფონდის* შექმნის თაობაზე, რომელსაც უხელმძღვანელებს უნივერსიტეტის არათანამშრომელ პირთაგან შემდგარი სამეურვეო საბჭო.

მუშაობა მომავალ სტუდენტებთან

აშკარად შეუსაბამოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომის მსურველთა რაოდენობა მოსწავლეთა იმ კონტინგენტთან, რომლებიც ახერხებენ სკოლაში სწავლის პერიოდში ვიზიტს უნივერსიტეტში, მის პირველ კორპუსში, ბიბლიოთეკაში, მუზეუმში... ასეთი ვიზიტები უაღრესად პოზიტიური როლის შემსრულებელია ახალგაზრდა თაობის პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ეს ზრდის უნივერსიტეტის პრესტიჟს მომავალ აბიტურიენტთა შორის. ვფიქრობ, მოსამზადებელი იქნება **აბიტურიენტის სამახსოვრო,** რომელშიც პოპულარული ენით წარმოჩენილი იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია დაარსებიდან დღემდე, მისი სახელოვანი აღზრდილებისა და ხელმძღვანელების მითითებით და იმ მიღწევებით, რითაც დღეს ქართული უმაღლესი სკოლის ფლაგმანს შეუძლია იამაყოს. აღნიშნული ქმედება, ღია კარის დღეებთან ერთად, აგრეთვე ისეთ პროექტებთან ერთად, როგორებიცაა „თსუ-დესპანი“ და ,,გააცანი შენი პროფესია'', უაღრესად პოზიტიური როლის შემსრულებელი იქნება.

გაფართოვდება და გაიზრდება ახალგაზრდათა მოცვა უნივერსიტეტის შემეცნებითი სალექციო კურსებით (ეკონომისტების, ასტრონომთა, გეოგრაფთა, ქიმიკოსთა, ფიზიკოსთა, მათემატიკოსთა და ა.შ. „ნორჩთა სკოლები“).

ურთიერთობა საზოგადოებასთან

განმტკიცდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ურთიერთობები. გატარდება ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ **წელიწადში ერთხელ მაინც მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, მიუხედავად იმისა, მოღვაწეობენ თუ არა**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის წაიკითხონ საჯარო ლექციები მეცნიერების შესაბამის სფეროში უახლესი მიღწევების, გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ.

ანალოგიური ღონისძიებები ჩატარდება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების (მინისტრების და მათი მოადგილეების) მონაწილეობით.

თსუ-ს როლის, მნიშვნელობის, საერთაშორისო ცნობადობის, პრესტიჟულობისა და კავშირების გაძლიერების მიზნით გააქტიურდება მუშაობა საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებთანაც. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების მოწვევა და მათთან უნივერსიტეტის პრობლემებზე, შესაბამისი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობისა და კოოპერირების საკითხებზე საუბრები უფრო ხშირი და მიზანმიმართული გახდება.

არსებითად გააქტიურდება მუშაობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე მსხვილ კერძო კომპანიებთან, მათგან ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრებზე მოთხოვნის დადგენისა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცების, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის ხელშეწყობის მიზნით სავალდებულო წესად უნდა ჩაითვალოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, აგრეთვე უცხოელ ავტორთა მიერ **უნივერსიტეტში შესაბამისი პროფილითა და თემატიკით გამოცემული შრომების ეგზემპლიარების მიწოდება საქართველოს პარლამენტის აპარატის ბიბლიოთეკისთვის.**

უფრო სრულად იქნება გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები (პრესა, ტელევიზია, ინტერნეტი) უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო-აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ საზოგადოებრიობის უკეთ და სრულად ინფორმირებულობისათვის, უნივერსიტეტის ცნობადობის, პოპულარიზაციისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად. გაძლიერდება ამ მხრივ თავად უნივერსიტეტის მატერიალური შესაძლებლობანი და ინტელექტუალური პოტენციალი, მათ შორის უნივერსიტეტის მედია-საშუალებების (გაზეთი, სატელევიზიო მაუწყებლობა) გამოყენების ეფექტიანობა.

სხვადასხვა...

2016 წელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ორმაგად საიუბილეო წელია. გაზაფხულზე, აპრილში აღინიშნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის - აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავი, ხოლო შემოდგომაზე - შოთა რუსთაველის 850 წლისთავი. აღნიშნული თარიღები საუკეთესო შესაძლებლობაა არა მარტო ამ ორი დიდი პიროვნების ღვაწლისა და მემკვიდრეობისათვის სათანადო პატივის მისაგებად, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოტენციალის, როლისა და მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენადაც. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს მითითებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდება შესაბამისი ღონისძიებების პროექტი.

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ანალოგიურად, რომლის კედლებს ამშვენებს ყველა იმ სპონსორის გვარის აღმნიშვნელი სამახსოვრო დაფა, რომლებმაც 1

მილიონი და მეტი დოლარი შესწირეს ამ უნივერსიტეტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსში უნდა გამოიყოს ადგილი (კედელი), რომელზეც განთავსდება ყველა იმ ქართველი და უცხოელი სპონსორის სახელი და გვარის აღმნიშვნელი მემორიალური დაფები, რომლებმაც თსუ-ს შესწირეს მნიშვნელოვანი თანხა.

უნდა გაძლიერდეს **უნივერსიტეტის რეკლამა და ბრენდირება.** მუდმივმოქმედი დატვირთვა უნდა შეიძინოს უნივერსიტეტის სიმბოლიკამ, საიმიჯო ატრიბუტიკის გავრცელებამ და პოპულარიზაციამ (კალენდარი, საფოსტო ბარათები, ავტოკალმები, მაისურები, ქუდები, სამკერდე ნიშნები, დეკორატიული თეფშები, ე.წ. „მაგნიტები“ და ა.შ.), რომელთა რეალიზაცია უნდა ხდებოდეს როგორც უნივერსიტეტის წიგნების მაღაზიაში, ისე დედაქალაქის სტუმრებისათვის ყველაზე საინტერესო და მასობრივი თავშეყრის ადგილებში.

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სასწავლო კორპუსებში მისვლის დროის შესამცირებლად დაიწყება მოლაპარაკებები ქალაქის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან საავტობუსო მარშრუტის აღდგენის თაობაზე *ჭავჭავაძის გამზირიდან უნივერსიტეტის ქუჩის (მაღლივი კორპუსის) გავლით ჯიქიას (პოლიტკოვსკიას) ქუჩამდე,* აგრეთვე მდინარე ვერეზე საბაგირო გზის (*ბაგების საერთო საცხოვრებელი-უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი*) აღსადგენად.

ფინანსური უზრუნველყოფა და ფაკულტეტების გამოთანაბრება

ზემოთ მოხსენიებული ფაქტობრივად ყველა ღონისძიება და საქმიანობის მიმართულება საჭიროებენ ადეკვატურ რესურსულ, პირველ რიგში, ფინანსურ უზრუნველყოფას. ფინანსური რესურსების ეფექტიან მართვაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული უნივერსიტეტში სწავლების პროცესის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართვა, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდა და სამეცნიერო კარიერის პრესტიჟის ამაღლება.

ფინანსების მართვა, ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება, სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერებისა და თსუ-ს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე.

გაგრძელდება გამოკვეთილი კურსი ფაკულტეტების მეტ ჩართულობაზე ფინანსური რესურსების განკარგვაში, რაც მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება-რაციონალიზაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და ბიუჯეტის პრიორიტეტული მუხლების ხარჯვითი მიმართულებების დაფინანსებას.

სტრატეგიის ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა **ჩაითვალოს აკადემიური პერსონალის ხელფასის დონეთა გამოთანაბრება ფაკულტეტების მიხედვით.** ანომალიურია, როდესაც ერთნაირი აკადემიური თანამდებობისა და დატვირთვის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ფაკულტეტების მიხედვით საშუალო საუნივერსიტეტო მაჩვენებელს 10 და მეტი პროცენტით ჩამორჩება. დღეის მდგომარეობით *ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტზე* ჩამორჩენა თითქმის 15

პროცენტია, ხოლო *მედიცინის ფაკულტეტზე* კიდევ უფრო მეტი - 27 პროცენტი. აქ დაუშვებელია პირდაპირი მექანიკური გამოთანაბრება, ან რაიმე სახის „პროკრუსტეს სარეცელის“ გამოყენება. თუმცა, ზრუნვა იქნება იმისათვის, რომ **რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს საშუალო ხელფასის დონეებით ჩამორჩენილი ფაკულტეტების საშუალო საუნივერსიტეტო დონესთან ფორსირებული მიახლოება.** ამისათვის გატარდება მუშაობა აკადემიური პერსონალის ფაკულტეტების მიხედვით დატვირთვის მეტ-ნაკლები გამოთანაბრებისა და სახელფასო ფონდის შემდგომი გაზრდისათვის, პირველ რიგში, საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდის გზით. შეიძლებოდა ამ მიმართულებით უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურის (3000$ და მეტი), რომელიც სულ ცოტა 3,2-ჯერ აღემატება საქართველოს მოქალაქეთა მიერ გადახდილ სწავლის საფასურს, მთლიანად წარმართვა პერსონალის შრომის ანაზღაურების გაზრდისა და ფაკულტეტებს შორის სახელფასო სხვაობის დასაფარავად.

გაგრძელდება მუშაობა ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების მოსაწესრიგებლად. პირველ რიგში იქ, სადაც განსხვავება განსაკუთრებით მაღალია. - გამომცემლობის, ბიბლიოთეკის თანამშრომელთა საშუალო ხელფასი ადმინისტრაციული პერსონალის საშუალო ხელფასს 1.6-ჯერ და მეტად ჩამორჩება.

მართალია, ბოლო წლებში მიღწეულია სერიოზული წარმატებები მსოფლიოსა და ევროპის მასშტაბით თსუ-ს რეიტინგის გასაუმჯობესებლად, მაგრამ შეუძლებელი იქნება WEBOMETRICS--ის რეჟიმში უახლოეს მომავალში პირველ 500-ეულში, ხოლო ევროპის უნივერსიტეტების ჩამონათვალში - პირველ 200-ულში მოხვედრა სათანადო რესურსული, პირველ რიგში, ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელი იქნება აგრეთვე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ღრმა და მრავალმხრივი ინტეგრაციის ხელშეწყობა, უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარება და არსებული კავშირების განვითარება, ახალი სამეცნიერო კონტაქტების ჩამოყალიბება...

ამავე დროს, სამწუხარო რეალობაა, რომ უნივერსიტეტის რესურსული უზრუნველყოფის მდგომარეობა, მიუხედავად ბოლო წლებში ფინანსური რესურსების აბსოლუტური ზრდისა, სულ უფრო მეტად ჩამორჩება დროის მოთხოვნებს, ამასთან ჯერადად - მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების დაფინანსებას. **ერთ სტუდენტზე გაანგარიშებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსება ყველა წყაროდან არ აღემატება 1,7 ათას აშშ დოლარს,** მაშინ როდესაც მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალოგიური მაჩვენებელი 6,5 ათასი აშშ დოლარია, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტისა - 9,6 ათასი აშშ დოლარი, კოპენჰაგენის უნივერსიტეტისა - 34,1 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ოქსფორდისა - 258,8 ათასი აშშ დოლარი. განსაკუთრებით სავალალოა ის, რომ ერთ სტუდენტზე ყველა წყაროდან მიღებული დაფინანსებით **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფრო მეტად ჩამორჩება ხსენებულ უნივერსიტეტებს, ვიდრე საქართველო - შესაბამის ქვეყნებს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტით.** მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ სტუდენტზე დაფინანსება ჩამორჩება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი სტუდენტის დაფინანსებას 3,8-ჯერ, მაშინ როდესაც საქართველო რუსეთს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტით - 2.7-ჯერ, ანალოგიურად: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამორჩება იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტს 5,6-ჯერ, საქართველო კი ისრაელს - 3.7-ჯერ; თსუ კოპენჰაგენის

უნივერსიტეტს - 20,1-ჯერ, ხოლო საქართველო დანიას - 4.8-ჯერ; თსუ - ოქსფორდს - 152,2-ჯერ(!), ხოლო საქართველო გაერთიანებულ სამეფოს - „მხოლოდ“ 4.3-ჯერ....

თსუ-ს სტრატეგია ქართული აკადემიური მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის ფლაგმანის როლის შენარჩუნებისათვის უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: მისი **ნებისმიერი ხარისხობრივი ინდიკატორი არ უნდა ჩამორჩებოდეს ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველოს სამი სხვა საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლის საშუალო მაჩვენებელს** (სტუდენტთა რაოდენობა ერთ აკადემიურ პერსონალზე; დაფინანსების სიდიდე ერთ სტუდენტზე, აკადემიური პერსონალის საშუალო თვიური ხელფასი და ა.შ.).

უნივერსიტეტს შემოსავალი სხვადასხვა წყაროებიდან აქვს (*სტუდენტების სწავლის საფასური; გრანტები; სპონსორები და შემოწირულობები; სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება; კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები*), თუმცა ზემოხსენებული სასწავლო-სამეცნიერო ფლაგმანის როლისა და საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია **სახელმწიფო დაფინანსების არსებითი გაზრდა**, განსაკუთრებით იმ მიმართულებით, რომელიც არა- ან ნაკლებად კომერციულია (საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სპეციალობები). აღნიშნულის გარეშე შეუძლებელი იქნება ზემოხსენებული მიზნების მიღწევა და რისკებსა და გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა, ისევე, როგორც პერსპექტივაში ფაკულტეტების რაოდენობის ზრდაზე საკითხის დაყენება (დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე საშუალოდ 2.7-ჯერ მეტი სტუდენტი სწავლობს, ვიდრე მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში).

უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შრომის პირობები, სამუშაო რეჟიმი, მათ შორის დასვენებისა და შვებულებების ხანგრძლივობა, დაცული იქნება კანონმდებლობით, შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის საქართველოს სამეცნიერო და ინტელექტუალური ფლაგმანის როლი უნდა ვლინდებოდეს არა მარტო სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის მასშტაბურობასა და შესაბამის ხარისხობრივ ინდიკატორებში, არამედ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვაში მაგალითის მიცემაშიც. ვფიქრობ, არა მარტო აუცილებელია, არამედ შესაძლებელია უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მაქსიმალური მოცვა ჯანდაცვის დაზღვევით და ამისათვის შესაბამისი ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციული მოქმედებების გატარება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურება ქართველი ერის სამეცნიერო, ინტელექტუალურ განვითარებაში, ეროვნული-პატრიოტული აღზრდის საქმეში, აგრეთვე იმ გამოწვევების უკეთ დაძლევისათვის, რასაც თანამედროვეობა მცირე ერებს უყენებს მსოფლიო ცივილიზაციაში მათი ადგილის დამკვიდრების პროცესში, მიზანშეწონილია მომზადდეს წინადადებები **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ,** სადაც გაწერილი იქნებოდა მისი საქმიანობის სამართლებრივი პირობები, ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო სტანდარტები, დამატებითი გამოცდების შემოღების წესი, საკუთარი, სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტებთან გათანაბრებული, დიპლომები, **სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი დაფინანსება** და ა.შ. მაგალითად, ასეთი კონცეპტუალური დატვირთვის კანონი მოსკოვისა და პეტერბურგის

სახელმწიფო უნივერსიტეტების შესახებ უკვე მიღებულია 2009 წელს რუსეთის ფედერაციაში.

თავის დროზე ქართულ სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) დაიდო ამ უკანასკნელის უდიდესი ღვაწლის გამო ქართული ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში. **ქვეყნის მეცნიერების განვითარებაში, ინტელექტუალი ელიტის არა ერთი თაობის აღზრდისა და ქართული ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში ფასდაუდებელი წვლილისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნამდვილად იმსახურებს ზემოხსენებულ განსაკუთრებულ სტატუსს და სახელმწიფოსაგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას.** ეს არა მარტო გაზრდის უნივერსიტეტის პრესტიჟს, არამედ ხელს შეუწყობს ზოგადად საქართველოში ცოდნის პრესტიჟულობისა და კაპიტალიზაციის სწრაფ ზრდას, საბოლოო ჯამში კი - მთელი ქვეყნის უფრო დაჩქარებულ და მდგრად განვითარებას.

ყველა დასახული და შეთავაზებული წინადადების რეალიზაცია განხორციელდება საქართველოს კონსტიტუციასთან, საქართველოს კანონთან "უმაღლესი განათლების შესახებ", უნივერსიტეტის წესდებასთან, სხვა ნორმატიულ დოკუმენტებთან, მათ შორის შესაბამის დებულებებსა და ინსტრუქციებთან სრულ შესაბამისობაში, უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიურ საბჭოსთან, წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმებით და მათი შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე.

პრეტენდენტი -

იოსებ არჩვაძე

10 დეკემბერი, 2015 წელი